



საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი  
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)  
გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი

## კონფერენცია

### სტატისტიკური მონაცემების ანალიზი პოლიტიკის დაგეგმვისათვის

#### *საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების სიღრმისეული ანალიზი*

*მოსახლეობის დინამიკის,  
დაბერებისა და ხანდაზმულთა საკითხებისა  
და ახალგაზრდების შესახებ*

*2017 წლის 14 ნოემბერი, 2017  
ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზი  
საქართველოს პარლამენტი, თბილისი*

## კონცეფცია

### შესავალი

მოსახლეობის დინამიკა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის მდგრადი განვითარების მისაღწევად. საქართველო, როგორც რეგიონის ბევრი სხვა სახელმწიფო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სოციალურ-ეკონომიური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ქვეყანა ამჟამად დემოკრატიული ტრანზიციის და საჭირო პოლიტიკის შემუშავება-დახვეწის პროცესშია. გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ქვეყანაში ადვოკატირებას უწევს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დანერგვას, რათა მოხდეს მოსახლეობის დინამიკის ასახვა მდგრადი განვითარების პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების პროცესში.

2014-2016 წლებში საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი პოლიტიკის და სტრატეგიის დოკუმენტები, რომლებიც მოსახლეობისა და განვითარების საკითხებს ეხება; როგორცაა:

- **ახალგაზრდული პოლიტიკის<sup>1</sup>** და სამოქმედო გეგმის მიღება საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს, რომელიც შემუშავებული იქნა მთავრობის მიერ გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) და გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) მჭიდრო თანამშრომლობით. ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია ხელშემწყობი გარემოს შექმნა ახალგაზრდებისათვის მათი პოტენციალის სრული რეალიზებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიური ჩართვის ხელშესაწყობად. გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები, როგორც ძირითადი ღირებულებები, საფუძვლად უდევს ახალგაზრდების მდგრადი განვითარების პოლიტიკას. პოლიტიკა აღიარებს ვალდებულებას უპასუხოს ახალგაზრდების საჭიროებებს ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციისა და მომსახურების ჩათვლით, დასაქმება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა.

- **საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცება:<sup>2</sup>** საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის მიზანია საქართველოში მიგრაციის მართვის ისეთი საკანონდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას უზრუნველყოფს.

- **დაბერების სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის** მიღება 2016 წელს და 2-წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება (UNFPA და UNECE ტექნიკური დახმარებით) მისი განხორციელებისათვის<sup>3</sup>;

- საქართველოს **ეროვნული დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეფციის** მიღება 2016 წელს საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ლიდერობითა და UNFPA ტექნიკური დახმარებით.

ამავე დროს, 2016-2017 წლების განმავლობაში, შვედეთის მიერ დაფინანსებული UNFPA-საქსტატის პროექტის ფარგლებში - *სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში*, გაეროს მოსახლეობის ფონდმა ტექნიკური დახმარება გაუწია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი) 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით მოსახლეობის მონაცემთა უკუ-გადათვლის მეთოდოლოგიის შემუშავებაში; ასევე, 2014 წლის საყოველთაო აწერის მონაცემთა სიღრმისეულ ანალიზში *მოსახლეობის დინამიკის, დაბერების და ახალგაზრდების საკითხებზე* და აღწერის მონაცემთა *გენდერული ანალიზის* ჩატარებაში. ანალიტიკური მონოგრაფიები შემუშავდა გამოჩენილი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების გუნდის მიერ ეროვნულ პარტნიორებთან თანამშრომლობით და შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან კონსულტაციით.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებისათვის მოსახლეობის დინამიკისა და მდგრად განვითარებასთან მისი კავშირის შესახებ მტკიცებულებათა ბაზის და ანალიზის გაძლიერება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) 2016-2020 წლების მესამე

<sup>1</sup> Approved by #533 Decree, 4 April 2014, of the Government of Georgia;

[http://msy.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=210](http://msy.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=210)

<sup>2</sup> დოკუმენტის ინგლისურ-ენოვანი ვერსია - [http://migration.commission.ge/files/migration\\_strategy\\_2016-2020.pdf](http://migration.commission.ge/files/migration_strategy_2016-2020.pdf)

<sup>3</sup> Road Map for Mainstreaming Ageing: Georgia, UNECE, 2015, სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ საფუძვლად იქნა გამოყენებული: [http://www.unece.org/fileadmin/DAM/pau/age/Capacity\\_building/Road\\_Maps/Georgia/Publication/ECE-WG.1-22\\_12-15.pdf](http://www.unece.org/fileadmin/DAM/pau/age/Capacity_building/Road_Maps/Georgia/Publication/ECE-WG.1-22_12-15.pdf)

ეროვნული პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2014 წლის აღწერის მონაცემების გენდერულად დეზაგრეგირებული და სიღრმისეული ანალიზის ჩატარება ხელს უწყობს ამ ამოცანის შესრულებას. აღწერის მონაცემების სიღრმისეული ანალიზი მეტ მნიშვნელობას სძენს აღწერის შედეგებს, ვინაიდან აღწერა უნივერსალური დაფარვის მქონე კვლევაა საკითხების საკმაოდ ფართო წრის მოცვით. ეს ანალიზი გვაწოდებს მტკიცებულებებს ეროვნული მდგრადი განვითარების სამიზნეების მისაღწევად პოლიტიკის შემუშავებისა და პროგრამების დაგეგმვისათვის, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, მოზარდები და ახალგაზრდები, მოსახლეობის დინამიკა და გენდერული თანასწორობა.

აღნიშნული კონფერენცია ეწყობა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან და საქსტატთან გაეროს მოსახლეობის ფონდის პარტნორობით, სადაც წარმოდგენილი იქნება სამი თემატური მონოგრაფიის ძირითადი მიგნებები:

- ❖ *მოსახლეობის დინამიკა საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა;*
- ❖ *მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა;*
- ❖ *ახალგაზრდები საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა.*

## მოსალოდნელი შედეგი

2014 წლის საყოველთაო აღწერის დეზაგრეგირებული მონაცემები მოსახლეობის დინამიკის შესახებ და მათი სიღრმისეული ანალიზი ხელმისაწვდომია ეროვნული მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვისათვის, ფოკუსით მოწყვლად ჯგუფებზე.

## კონფერენციის შინაარსი

კონფერენციის შინაარსი აგებულია 3 თემატური მონოგრაფიის ირგვლივ - მოსახლეობის დინამიკა, მოსახლეობის დაბერება და ახალგაზრდები საქართველოში.

ავტორების მიერ ანალიტიკური მონოგრაფიების ძირითადი მიგნებების წარდგენას მოჰყვება კითხვები აუდიტორიიდან და ღია დისკუსია.

პანელური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საკვანძო სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, მიემდგვნება არსებული მონაცემების და მტკიცებულებების შემდგომ გამოყენებას პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვისათვის.

## კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ პარლამენტის, სამთავრობო სტრუქტურების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სამეცნიერო წრეების, კვლევითი ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## წინასწარი დღის წესრიგი

09:30 – 10:00 მონაწილეთა რეგისტრაცია

### პლენარული სესია

10:00 – 10:30 გახსნა

**აკაკი ზოიძე**, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე

**მერი დაუშვილი**, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი

**მოლი ლიენი**, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ხელმძღვანელი

**კარლ კულესა**, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) წარმომადგენელი თურქეთში, საქართველოს ოფისის დირექტორი

10:30 – 11:15 მოსახლეობის დინამიკა საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერაზე დაფუძნებული ანალიზი

**შესავალი და მოდერაცია: თენგიზ ცეკვავა**, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

*ძირითადი მიგნებები: მოსახლეობის დინამიკა საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა*

**დოქტორი რალფ ჰაკერტი**, დემოგრაფი

კითხვები აუდიტორიიდან

11:15 – 12:00 მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

**შესავალი და მოდერაცია: დიმიტრი ხუნდაძე**, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

*ძირითადი მიგნებები: მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა*

**დოქტორი ბარტ დე ბრუნი**, დემოგრაფი

კითხვები აუდიტორიიდან

12:00 – 12:45 ახალგაზრდები საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

**შესავალი და მოდერაცია: რევაზ ჯაველიძე**, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

მინისტრის მოადგილე

*ძირითადი მიგნებები: ახალგაზრდები საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა*

**დოქტორი ფრანკ ილენსი**, დემოგრაფი

კითხვები აუდიტორიიდან

### პლენარული დისკუსია

12:45 – 13:30 მოსახლეობის დინამიკის შესახებ არსებული მტკიცებულებების გამოყენება პოლიტიკის შექმნისა და დაგეგმვისათვის მდგრადი ეროვნული განვითარების მიზნების მისაღწევად

*შესავალი და მოდერაცია: აკაკი ზოიძე, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე*

**ნინო ბერძული**, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის მოადგილე

**ნინო ჯავახაძე**, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე (tbc)

**ირაკლი მატკავა**, რეგიონული განვითარებისა და ინსფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე (tbc)

**ქეთევან ნატრიაშვილი**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე (tbc)

**ნოდარ კერესელიძე**, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე

13:30 – 13:40 კონფერენციის დახურვა